

## ეთო-ს გენერალურ მდივანს, ლამბერტო ზანიერს

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) დირექტორს, ელჩს იანემ ლენარჩისს

### თ ა რ გ მ ა ნ ი

თბილისი, 2 მარტი, 2012

ბატონო გენერალურო მდივანო,

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ორგანიზაციები, გწერთ, რათა თქვენი ყურადღება მივაპყროთ ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი მისიის არსებით საჭიროებას, 2012 წლის ოქტომბერში საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით.

ODIHR-ის მოწვევის თხოვნით ჩვენ უკვე მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, რათა მონიტორინგი განხორციელდეს მომავალ არჩევნებზე, რომელიც საკმაოდ მწვავე იქნება და მნიშვნელოვანი ელემენტი გახდება ქვეყნის ახალგაზრდა დემოკრატიის ისტორიაში. ბოლო საპარლამენტო ანგარიშისას პრეზიდენტმა სააკაშვილმაც გაამახვილა ყურადღება, წინასწარჩევნო გარემოზე დაკვირვების მიზნით, საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევის მნიშვნელობაზე, იმის საჩვენებლად, რომ საქართველო მზად არის, 2012 წელს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს.

პარლამენტის მიერ 2011 წლის ბოლოს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საფრთხე შეუქმნა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს, უზრუნველყოს თავისუფალი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო გაუმჯობესებული სამართლებრივი ბაზით, სამართლიანი საარჩევნო და პარტიების დაფინანსების ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე სისტემებით. აღნიშნული ცვლილებები, რომელთაც სამოქალაქო საზოგადოებაში დიდი შეშფოთება გამოიწვია, ქმნის სამოქალაქო აქტივობის, საკუთრების უფლების, გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის საფრთხეს და შეუძლია მკაცრი და გაუმართლებელი პასუხისმგებლობები დააკისროს ამომრჩევებს, რაც უარყოფითად იმოქმედებს სიტყვის თავისუფლებასა და სამოქალაქო ჩართულობაზე.

გარდა ამისა, კანონმდებლობა არ აღკვეთს საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსის ფართოდ გამოყენებას და ხელს არ უწყობს ნაკლებად პოლარიზებული და მეტად პლურალისტური მედია-გარემოს შექმნას, რაც პოლიტიკურ მოთამაშეებს უბიძგებდა, თავი შეეკავებინათ საკუთარი პარტიული პროპაგანდისტის მათი კონტროლის ქვეშ არსებული მედია-საშუალებების ბოროტად გამოყენებისაგან.

სამოქალაქო საზოგადოების წუხილს საერთაშორისო აქტორებიც იზიარებენ. ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს დასკვნაში ხაზგასმულია, რომ „მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები აკმაყოფილებდეს საერთაშორისოდ აღიარებულ დემოკრატიულ სტანდარტებს“. ევროკავშირი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციის საჭიროებაზე, რაც „ხელს შეუწყობს ნამდვილ პოლიტიკურ პლურალიზმს, შეკრების თავისუფლებას, მედიის თავისუფალ და თანაბარ ხელმისაწვდომობას, ასევე, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერებას“.

იგივე პოზიცია ფიქსირდება მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის განცხადებაში, რომლის თანახმადაც, საქართველოს ახალი საარჩევნო კანონმდებლობა „განზრახ უშლის ხელს და შეზღუდვებს უწესებს კონკრეტულ პირებს, რათა მათ ვერ მიიღონ მონაწილეობა მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში“ და „არათანაბარ პირობებს უქმნის“ მათ.

როგორც არჩევნებთან დაკავშირებით ODIHR-ის წინა მოხსენებებიდან ჩანს, ბევრ ისეთ შემთხვევაში, რომელიც ხელს უწყობს არასამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას, არჩევნებამდე კვირებით და თვეებით ადრე ჰქონდა ადგილი. საქართველოში არაოფიციალური საარჩევნო კამპანია უკვე მიმდინარეობს. სწორედ ეს განაპირობებს ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ჩამოსვლის საჭიროებას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს წინასაარჩევნო მონიტორინგის განხორციელებაში და, საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევის შემთხვევაში, შეათვასებს არსებულ ვითარებას. გრძელვადიანი მონიტორინგის განხორციელება, საბოლოო ჯამში, საქართველოში ჭეშმარიტად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას შეუწყობს ხელს.

ვიმედოვნებთ, რომ განიხილავთ ჩვენს მიმართვას და მოუთმენლად ველით ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ჩამოსვლას და მასთან თანამშრომლობას.

ასევე, თხოვნით მოგმართავთ, რომ ეუთოს მხრიდან მოხდეს დამატებითი ძალისმხევის განწევა საქართველოს ხელისუფლების ჩართულობისა და გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობაში.